



აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF),  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ)  
და  
საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამეწარმეო პროგრამა (STEP)  
ბიზნეს-პარტნიორობის გრანტები (BPG) 2009

**I. განაცხადის შემადგენელი ნაწილების საკონტროლო ნუსხა**

პირველ რიგში შეავსეთ განაცხადის წინამდებარე ფორმა, რათა შემდგომში შეძლოთ ინფორმაციის გადატანა ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემაში (EPS). ყურადღება მიაქციეთ განაცხადში მოცემული თითოეული პუნქტისთვის განსაზღვრულ სიმბოლოების რაოდენობას.

- I. განაცხადის შემადგენელი ნაწილების საკონტროლო ნუსხა
- II. საჯაროდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (მოკლე ანოტაცია)
- III. წარსულში გუნდების მიერ შესრულებული ერთობლივი სამუშაოები
- IV. პროექტის აღწერა
- V. ბიზნეს-გეგმის აღწერა
- VI. ინტელექტუალური საკუთრების სტატუსი
- VII. მოსალოდნელი შედეგები
- VIII. პროექტში მონაწილე ორგანიზაციები და პერსონალი
- IX. ხელმოწერების ფურცელი
- X. კომპანიის ვალდებულების წერილი
- XI. ბიუჯეტი (დართული Excel file-ი)

**II. საჯარო გამოსაქმნებელი ინფორმაცია (მოკლე ანოტაცია)**

**ყურადღება:** ამ სექციაში არ მიუთითოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს თქვენთვის კომერციულ საიდუმლოებას. ეს ნაწილი უნდა შეივსოს ბოლოს, რადგან იგი წარმოადგენს ქვემოთ თანმიმდევრულად მოცემული სექციების რეზიუმეს.

**1. მთავარი მკვლევარები და პროექტის სათაური:** თუ საჭიროა სათაური ჩაწერეთ ლაკონურად. (225 სიმბოლო)

მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელი: გელა ტიტეს ძე სულაბერიძე  
ბიზნესჯგუფის ხელმძღვანელი: ნოდარ მელენტის ძე გურგენიძე  
პროექტის სახელწოდება: ტექნოლოგია და ბიზნესმოდელი მოსახლეობის მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის ოპტიმალურად შესავსებად

**2. პროექტის მიზანი:** დაასახელოთ პროექტის ძირითადი, მთავარი მიზანი. (360 სიმბოლო)

პროექტის მიზანია მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ეკოლოგიურად სუფთა პურის მომზადების ორიგინალური ტექნოლოგიის და ბიზნესმოდელის დანერგვა. მოსახლეობის მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსების და ჭარბი კალორიის შეზღუდვის პრაქტიკული შესაძლებლობების გაზრდა, ხორბლის ქერქის ბუნებრივობის და სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნებით ბიზნესის ეფექტურად განვითარება.

**3. ტექნიკური აღწერა:** განაცხადის IV სექციის რეზიუმე (1000 სიმბოლო)

ჩვენს მიერ მოწოდებული ტექნოლოგია სამედიცინო მეცნიერების საფუძველზეა შექმნილი. ტექნოლოგიური მოდელი ადამიანის მიერ საკვების მონელების პროცესის მსგავსია. მოდელის ეტაპები ორიგინალური და დაპატენტებულია. ხორბლის მარცვალი გამოიყენება მთლიანად, დანაკარგის გარეშე. პრობლემებისადმი ტექნიკური მიდგომა ერთის მხრივ მიმართულია, რომ შემცირდეს ხორბლის ქერქის მფარავი აკის სიუხეშე, გაადვილდეს მისი გამოშრობა და პროდუქტი იყოს ეკოლოგიურად სუთა. ხოლო მეორეს მხრივ, დუმელის მოდერნიზებით შეიქმნას ცხობის ოპტიმალური რეჟიმი. ასეთი მიდგომით შესაძლებელია: ერთის მხრივ, პურის ცხობის ხანგრძლივობის და ტემპერატურის სიდიდის მკვეთრად შემცირება, მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ხორბლის ქერქის ბუნებრივობის და ადამიანის ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლო თვისებების შენარჩუნებით, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოების ხარჯების შემცირება, მოგების წილის გაზრდა და ნაკლები დანახარჯებით ბიზნესის უფრო მოქნილად გაფართოება.

**4. ბიზნეს გეგმის აღწერა:** განაცხადის V ნაწილის რეზიუმე (600 სიმბოლო)

ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შეიქმნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, გრძელვადიანი გარანტიის მქონე, მაღალკონკურენტუნარიანი საკვები. კვებითი ღირებულების და საემოციო თვისებების გაუმჯობესებასთან ერთად, საგადასახადო კოდექსში არსებული შეღავათების გამოყენებით, პროდუქტის მომზადების დროისა და წარმოების ხარჯების შემცირებით, გაიზრდება მოგების წილი. ინოვაცია მოგვცემს შესაძლებლობას მინიმალური რისკებითა და მნიშვნელოვნად მცირე დანახარჯებით გაიხსნას სტარტიდანვე მომგებიანი საწარმოები, უფრო მოქნილად გაფართოვდეს წარმოების მოცულობა, შემცირდეს რეალიზაციის დრო და ხარჯები.

**5. მოსალოდნელი შედეგები:** განაცხადის VII ნაწილის რეზიუმე (600 სიმბოლო)

წარმოებაში დაინერგება მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი, ეკოლოგიურად სუფთა პურის მომზადების ორიგინალური ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხორბლის ბუნებრივობა და ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო თვისებები. გაიზრდება მოსახლეობის მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსების და ჭარბი კალორიის შეზღუდვის პრაქტიკული შესაძლებლობები. მეცნიერთა ჯგუფი გამოაქვეყნებს სტატიებს, გააკეთებს მოხსენებებს და წარადგენს ახალ სამეცნიერო პროექტებს. ნოვაციის დანეგვით კომპანია შეძლებს უფრო ნაკლები დანახარჯებით გაზარდოს მოგების წილი და წარმოების მოცულობა.

**6. პროექტში მონაწილე ორგანიზაციები და პერსონალი:** განაცხადის VIII ნაწილის რეზიუმე (600 სიმბოლო)

მეცნიერთა გუნდი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მეცნიერთა ჯგუფი: მთავარი მკვლევარი – თსსუ ზოგადი თერაპიის კათედრის ასოცირებული პროფესორი გელა სულაბერიძე. მკვლევარი – დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მაია ბერუჩაშვილი. მკვლევარი – თერაპიის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინე ლილუაშვილი.  
კომპანიის გუნდი: შპს „ეკვატორი“. ბიზნეს ჯგუფი: მთავარი მკვლევარი: შპს „ეკვატორის“ დირექტორი ნოდარ გურგენიძე, მკვლევარი: შპს „ეკვატორის“ ტექნოლოგი თეიმურაზ კვაჭანტირაძე.